ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N22

ქ.თბილისი

29 ივნისი, 2018 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
გიორგი გაბაშვილი
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ბაგრატიონი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი გიორგი კიკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი თამარ მათიაშვილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა თბილისში არსებულ პარკირების პრობლემაზე, რომელიც მისი თქმით, ბოლო დღეებში, ოპოზიციის მხრიდან, „პოლიტიკური სპეკულაციების საგანი გახდა“ და აღნიშნა, რომ ამ საკითხის მოგვარება ქალაქისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ხოლო მერიის ადმინისტრაციისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, თუმცა ამისთვის მხოლოდ საბიუჯეტო სახსრები ვერ იქნება ეფექტური. ზოგადად, პარკირების სისტემის მოწესრიგებისთვის უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, მათ შორის, სისტემიდან იმ ოპერატორი კომპანიის გაყვანა, რომელიც არ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც ითვალისწინებდა საპარკინგე ინფრასტრუქტურის შექმნას. ასევე, ბიზნესს შესთავაზა ეკონომიკური მოდელები, სადაც კერძო და საჯარო პარტნიორობის საფუძველზე ქალაქში შეიქმნებოდა დამატებითი საპარკინგე ინფრასტრუქტურა, რომლითაც, სამწუხაროდ, ბიზნესი არ დაინტერესდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის იმის ნათელი მაგალითი, რომ პუშკინის სკვერის მიმდებარედ, ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, მიწის ნაკვეთის გადაცემა იყო ქალაქისთვის სასარგებლო, ხოლო ბიზნესის მხრიდან საქველმოქმედო პროექტი. ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, მუნიციპალიტეტი მზად არის, შექმნას ისეთი ეკონომიკური მოდელები, რომლებიც, რა თქმა უნდა, მორგებული იქნება ქალაქის და მოსახლეობის ინტერესებზე და ამავდროულად, ბიზნესისთვისაც იქნება მიმზიდველი.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დედაქალაქში წლის ბოლომდე 100 ავტობუსის შემოყვანასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება, სამწუხაროდ, განცხადებად დარჩა, რადგან ჩატარებული ორი ტენდერი ჩავარდა. ამასთანავე, საუბარი იყო, რომ დედაქალაქში უნდა შემოსულიყო ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი, თუმცა სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ეს ავტობუსები მუშაობს დიზელზე და შესაბამისად, ეკოლოგიურად სუფთა ვერ იქნება. ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, ეყოლება თუ არა ქალაქს 100 ახალი და ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი წლის ბოლომდე და რა არის დაგეგმილი ამ მიმართულებით.

გიორგი ტყემალაძის თქმით, ყველა თანხმდება იმაზე, რომ მიწისქვეშა პარკინგების მოსაწყობად ქალაქის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარის დახარჯვას, ჯობს პროექტი განხორციელდეს კერძო ინვესტიციით. სწორედ ამიტომ, მერიის მხრიდან ბიზნესისთვის იქნება დამატებითი შეთავაზებები და უახლოეს მომავალში იქნება შედეგი. რაც შეეხება ავტობუსებს, განაცხადა, რომ წლის ბოლომდე ქალაქს აუცილებლად ეყოლება 100 ახალი ავტობუსი.

ირაკლი ზარქუამ ჩავარდნილ ტენდერებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი მთავრობა და მცდელობა გვაქვს, მივიღოთ ისეთი პირობები, მათ შორის ავტობუსებთან დაკავშირებით, რომლებიც მორგებული იქნება დედაქალაქზე, ბიუჯეტზე და ადგილობრივ მაცხოვრებლებზე“. მისი თქმით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაგეგმილია შვიდასამდე ავტობუსის ჩანაცვლება და ყველაფერი განხორციელდება გეგმაზომიერად და ნებისმიერი ტენდერის პირობები მისაღები იქნება, როგორც კერძო სექტორისთვის, ასევე, დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის და თბილისის ბიუჯეტისთვის.

გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ წლების წინ, ქალაქში საერთოდ არ არსებობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ამ პრობლემის მოგვარებისკენ გადაიდგა პირველი ნაბიჯები - მაშინდელმა ხელისუფლებამ ქალაქში შემოიყვანა ავტობუსები, თუმცა, ეს ტრანსპორტი ძველდება და უნდა გაუმჯობესდეს, რაზეც დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. გასაკვირი არ არის არც ის, რომ არავინ მიიღო მონაწილეობა მიწისქვეშა პარკინგების მოსაწყობად ინტერესთა გამოხატვის კონკურსში, რადგან სხვა არის, როდესაც

ბიზნესმენს, თავისი ბიზნეს-ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ ლარად, გადასცემ მიწის ნაკვეთს დამატებითი პარკინგის მოსაწყობად და სულ სხვაა, როდესაც ინვესტორს სთავაზობ მარტო პარკინგს ბიზნესის გარეშე. გიორგი გაბაშვილის თქმით, არც ერთი ბიზნესმენი არ დაინტერესდება პროექტით, რომელიც არ არის კომერციულად საინტერესო და ამიტომ ქალაქის მთავრობა ამ პროექტს უნდა მიუდგეს, როგორც ქალაქისთვის საჭირო ინფრასტრუქტურულ პროექტს და ეცადოს საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მოიძიოს გრანტი ან დაბალპროცენტიანი სესხი. შესაძლებელია ასევე, ინვესტორს აღარ მოსთხოვოს ამ მიწის ნაკვეთის ქალაქისთვის დაბრუნება 25 წლის შემდეგ ან მისცეს უფრო დიდი ვადით, რომ ჰქონდეს მოგების იმედი. გიორგი გაბაშვილმა ისაუბრა თბილისში არსებული ღია კაფეების პრობლემაზე, აღნიშნა, რომ ეს ქალაქისთვის და განსაკუთრებით ისტორიული ზონისთვის, საჭიროა და კარგია, რომ საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ მოვუსმენთ ღია კეფეების მფლობელებს და მაქსიმალურად ვეცდადოთ დახმარებას, რომ აღარ შეექმნათ პრობლემები.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ პუშკინის სკვერის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის გადაცემის შემთხვევაში, მოხდა კერძო და მუნიციპალური ინტერესების დამთხვევა, რაც იდეალური ვარიანტია, თუმცა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ასე არ მოხდა. რაც შეეხება ავტობუსების შემოყვანას, აღნიშნა, რომ ტენდერის ჩავარდნა არანაირი პრობლემა არ არის, გამოცხადდება სხვა ტენდერი, უფრო დახვეწილი და გაუმჯობესებული პირობებით.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ, როდესაც საუბარია იმაზე, თითქოს პუშკინის სკვერის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის გადაცემის შემთხვევაში, მოხდა კერძო და მუნიციპალური ინტერესების დამთხვევა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერიტორია ბიძინა ივანიშვილს გადაეცა არა 27 წლით, არამედ სამუდამო საკუთრებაში და შესაბამისად, ეს საკითხები აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მისი თქმით, პუშკინის სკვერის მიმდებარედ პარკინგს სრულად აითვისებს იქ არსებული სასტუმრო და მოსახლეობისთვის არანაირი შეღავათი არ იქნება.

ბექა დავითულიანმა განმარტებები გააკეთა რამდენიმე საკითხზე. მისი თქმით, დიზელზე მომუშავე ავტობუსების შემოყვანა განპირობებულია იმით, რომ გაზზე მომუშავე ავტობუსების სიგრძე შეუსაბამოა იმ ინტერესებისთვის, რომელიც დღეს სჭირდება ქალაქს, კერძოდ, ამ ეტაპზე უნდა მოხდეს შედარებით მცირე ზომის ავტობუსების შემოყვანა, რომლებიც არ იწარმოება გაზზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ავტობუსები არის „ევრო 6 დიზელზე“ მომუშავე, რაც ეკოლოგიურად სუფთაა. რაც შეეხება პარკირების პრობლემის მოგვარებას, აღნიშნა, რომ მუშაობა მიმდინარეობს არა მხოლოდ მიწისქვეშა პარკინგების მოწყობაზე, არამედ ახალი პარკირების სისტემის შემოღებაზე. ღია კაფეებზე განაცხადა, რომ მათ მუშაობას არ უნდა შეეშალოს ხელი და მათ ექნებათ მაქსიმალური ხელშეწყობა, თუმცა მათაც უნდა დაიცვან კანონის ელემენტარული მოთხოვნებში, მიმართონ შესაბამის სამსახურებს და აიღონ ნებართვები.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ტენდერის ორჯერ ჩავარდნა გამოწვეულია იმით, რომ მოთხოვნები არის პრინციპული და კვალიფიციური. რაც შეეხება იმას, თუ რატომ იქნება ავტობუსები დიზელზე მომუშავე, განმარტა, რომ გაზზე მოდიფიცირებული მცირე ზომის ავტობუსები არ იწარმოება, თუმცა დიზელის შემთხვევაშიც ძალიან მკაცრი ეკოლოგიური მოთხოვნებია.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ თუ ბიზნესს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე აიღოს ადმინისტრირება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მიწისქვეშა პარკირების სისტემაზე, მუნიციპალიტეტმა ბიზნესთან უნდა იქონიოს ეფექტური კომუნიკაცია და შესთავაზოს მათთვის მომგებიანი პირობები, ხოლო ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით თანხის გამოყოფა უნდა იყოს უკანასკნელი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება გადადგას მუნიციპალიტეტმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ბაგრატიონი

თანამომხსენებელი: გიორგი კიკვაძე

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

3. „ქ.თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N24ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მათიაშვილი

4. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში, ზემო პლატოზე არსებული 6853 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.175) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ კომპანიასთან შპს „კა-3“ (ს/კ.: 436040320) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“.

მომხსენებელი: თამარ მათიაშვილი

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა და განმარტა, რომ 2018 წლის 1 ივლისიდან ხმაურთან დაკავშირებით სამართალდარღვევებზე რეაგირებას განახორციელებს მუნიციპალიტეტი, კერძოდ, უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური და აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა დადგენილებაში ცვლილების განხორციელება და ამ ფუნქციების ასახვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 7 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-031816523-03 თარიღი: 14.06.2018 (2 პოზიცია); N12-0318173117-03 თარიღი: 22.06.2018 (4 პოზიცია); N12-031810163-03 თარიღი: 11.04.2018 (1 პოზიცია - „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩა N2 არსებულ ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.010) და მიმდებარედ (1310 კვ.მ.), ქ.თბილისში, ხაზინა N5 არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.008) ფარგლებში და მიმდებარედ (45 კვ.მ.), საცხოვრებელი ზონა 5-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით“.), რომლებზეც ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N24ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ მათიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 2324 კვ.მ. ფართის გადაცემა ოცდაშვიდი ოჯახისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2000, 2003 და 2008 წლებიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ შენობა ეკუთვნოდა ე.წ. საუწყებო ბინების კატეგორიას, რომლის მშენებლობა შეჩერდა 1990-იან წლებში, ხოლო დასრულება და საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობამდე მიყვანა უზრუნველყვეს სწორედ იმ ადამიანებმა, რომლებიც დღეს ცხოვრობენ ამ ფართებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონში, ზემო პლატოზე არსებული 6853 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.175) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ კომპანიასთან შპს „კა-3“ (ს/კ.: 436040320) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ მათიაშვილმა და განმარტა, რომ ნუცუბიძის ფერდობზე, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ ორმოცდასამ პირს გადაეცათ 5495 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სადაც ინვესტორმა ვერ მიიღო მშენებლობის ნებართვა, ვინაიდან მის მიერ წარდგენილი ინტენსივობით და მოცულობით ტერიტორიის განვითარება მიუღებლად იქნა მიჩნეული. ამხანაგობის წევრების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად,

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ინვესტორს, საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, გადაეცეს მიმდებარე ტერიტორია და ამასთანავე კომპანია, გადაიხდის მიწის ნაკვეთებს შორის ფასთა სხვაობას - 600000 ლარს, მშენებლობის ნებართვის აღებიდან რვა თვის განმავლობაში.

გიორგი ბირბიჩაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, თუ მომავალში, მსგავსი საკითხების განხილვაში აქტიურად ჩაერთვებიან საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა გიორგი ტყემალაძეს, უზრუნველყოს, რომ საკრებულოს კომისიებმა საკრებულოს წევრებს მიაწოდონ კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები, თანდართული მასალით.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი იყო ერთ-ერთი პირველი, როდესაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტმა დაიწყო მსგავს საკითხებზე მუშაობა და დაინტერესდა, მიწის ნაკვეთის გადაცემისას, კომპანიამ იცოდა თუ არა, რომ საჭირო იქნებოდა კოეფიციენტის ზრდა. რადგან, თუ ინვესტორს არსებული კოეფიციენტის ფარგლებში უნდა უზრუნველეყო ადამიანების ფართებით დაკმაყოფილებაც და მოგების მიღებაც, ისე არ გამოვიდეს, რომ ინვესტორი ცდილობდეს ნახოს უფრო მეტი მოგება.

თამარ მათიაშვილმა განმარტა, რომ იმ პერიოდისთვის, როდესაც მომზადდა აღნიშნული საკითხი, არსებობდა ზოგადი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, ხოლო კონკრეტული მოცულობები არ იყო არც მითითებული და არც მოთხოვნილი. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ინვესტორს პროექტის განხორციელება გაუძვირდა ტერიტორიაზე კომუნიკაციის არ არსებობის გამო და ამასთანავე, საკითხი განიხილება, როგორც სოციალური პროექტი, მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალაქგეგმარებითად ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქამდე გადაცემული მიწა, ძალიან შორს იყო ბოლო დასახლებული პუნქტიდან, ხოლო ამ ეტაპზე წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი მდებარეობს დასახლებულ პუნქტთან ახლოს და შესაბამისად უმჯობესია, კომუნიკაციის განვითარება და გზების განაშენიანება მოხდეს ამ ტერიტორიაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება და 2 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი